

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი № 2

30 დეკემბერი 2013 წელი

ქ. ბათუმი

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: ქეთევან ჯიქია, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, მალხაზ კალანდაძე და თამარ ხოზრევანიძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;
2. დადგენილება - უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;
3. დადგენილება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 27 ივნისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
4. განკარგულება - უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2014 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ;
5. განკარგულება - საოლქო საარჩევნო კომისიების 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ვადაგასული საარჩევნო დოკუმენტაციის განადგურების აქტის ცნობად მიღების შესახებ;
6. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: არჩილ მიქელაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კომისიას შესთავაზა წინადადება დღის წესრიგის მე-3 საკითხზე (დადგენილება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 27 ივნისის №6

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“) დღის წესრიგის პროექტიდან ამოღებული იქნას შემდგომი შესწავლისა და დაზუსტების მიზნით.

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ სხდომაზე შეთავაზებული ცვლილების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. დადგენილება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;
2. დადგენილება - უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;
3. განკარგულება - უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2014 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ;
4. განკარგულება - საოლქო საარჩევნო კომისიების 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ვადაგასული საარჩევნო დოკუმენტაციის განადგურების აქტის ცნობად მიღების შესახებ;
5. სხვადასხვა.

1. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებით დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ რეგლამენტში შესატანი ცვლილებით ზუსტდება უსკოს აპარატის ზოგიერთი სამსახურის უფლებამოსილება და ფუნქციები ასევე რეგლამენტს დაემატა რამოდენიმე მუხლი - კერძოდ: რეგლამენტით დაზუსტდა უსკოს, უსკოს თავმჯდომარის და მდივნის უფლებამოსილებები. რის შემდეგაც სიტყვა გადასცა უსკოს აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსს ფრიდონ ბათნიძეს კომისიისათვის დეტალურად გაეცნო უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი.

უსკოს აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსმა ფრიდონ ბათნიძემ კომისიას დეტალურად გააცნო ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტში.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებით (გაზეთი „აჭარა“ 23.05.2006 წ. №91) დამტკიცებულ რეგლამენტში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. პირველი მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ მუხლი

„მუხლი1¹. უსკოს უფლებამოსილება

უსკო:

ა) უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭოს არჩევნების გამართვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, აკონტროლებს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვან გამოყენებას;

ბ) დადგენილებით იღებს უსკოს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების რეგლამენტებს;

გ) გამონაკლის შემთხვევაში, თუ შეუძლებელი გახდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით დადგენილი გარკვეული მოთხოვნების შესრულება/ვადების დაცვა, უფლებამოსილია დადგენილებით განსაზღვროს ჩასატარებელი არჩევნების/გასამართი კენჭისყრის საარჩევნო ღონისძიებები და ვადები; ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, ამ კანონის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს წინადადება არჩევნების ახალი თარიღის დანიშვნის თაობაზე;

დ) განკარგულებით საარჩევნო პერიოდში ქმნის საარჩევნო ოლქებს და აზუსტებს მათ საზღვრებს;

ე) აუცილებლობის შემთხვევაში, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებულ საკითხთა გადასაწყვეტად, უფლებამოსილია განკარგულებით, რომელიც მიიღება სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედით, შექმნას სპეციალური ჯგუფი, განსაზღვროს მისი უფლებამოსილების ფარგლები და მოქმედების ვადა;

ვ) თუ ქვემდგომი საარჩევნო კომისია არ ან ვერ ასრულებს კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობას, უფლებამოსილია განკარგულებით, რომელიც მიიღება

სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედით, უფლებამოსილება შეუწყვიტოს ამ კომისიას და შექმნას დროებითი ჯგუფი, რომელსაც კომისიის ხელახლა შექმნამდე დაეკისრება მისი უფლებამოსილების განხორციელება;

ზ) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით განსაზღვრული ვადების შესაბამისად, განკარგულებით ადგენს საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკს;

თ) განკარგულებით ნიშნავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე, ხელახალ და შუალედურ არჩევნებს, განმეორებით კენჭისყრას, არჩევნების მეორე ტურს;

ი) საკუთარი ინიციატივით ან განცხადების/საჩივრის საფუძველზე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით საარჩევნო ვადების განხილვისათვის დადგენილი წესით ამოწმებს საარჩევნო კომისიების, მათი თანამდებობის პირების გადაწყვეტილებებისა და აქტების კანონიერებას და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში განკარგულებით ბათილად ცნობს ან ცვლის მათ; განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიიდან შემოსული პაკეტების გახსნისა და საარჩევნო ბიულეტენების/ამომრჩეველთა სიების ხელახლა დათვლის შესახებ. საარჩევნო ბიულეტენების ხელახლა დათვლის შემთხვევაში უსკომ ეს უნდა აცნობოს ყველა საარჩევნო სუბიექტსა და დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელთა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ ბიულეტენების დათვლას საარჩევნო უბანზე, და მათი სურვილის შემთხვევაში უზრუნველყოს მათი წარმომადგენლების დასწრება ხელახლა დათვლის პროცესზე;

კ) საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე აჯამებს პროპორციული წესით ჩატარებული უმაღლესი საბჭოს არჩევნების (პარტიული სიები) შედეგებს, რის თაობაზეც დგება უსკოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი;

ლ) განკარგულებით ანიჭებს არჩევნების დამკვირვებლის სტატუსს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში აღნიშნულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციას, სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებულ ორგანიზაციას, სხვა

სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლების ჯგუფს;

მ) დადგენილებით განსაზღვრავს არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესს;

ნ) განკარგულებით ადგენს საარჩევნო ბიულეტენების ფორმას; ბიულეტენების ტექსტებს; საარჩევნო ყუთების, საარჩევნო კონვერტებისა და საარჩევნო კომისიების ბეჭდების სახეებს; „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით განუსაზღვრელი, მაგრამ არჩევნების ორგანიზებისათვის საჭირო საარჩევნო საბუთების სახეს;

ო) ანგარიშვალდებულია უმაღლესი საბჭოს წინაშე, რომელსაც წარუდგენს ანგარიშს ყოველი არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 60 დღის ვადაში;

პ) უზრუნველყოფს საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული კენჭისყრის/არჩევნების შედეგების კომპიუტერულ დამუშავებას და დაუყოვნებლივ განთავსებას უსკოს ვებგვერდზე, ხოლო ამ მუხლის „კ“ ქვეპუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – მის უსკოს ვებგვერდზე განთავსებასაც;

ჟ) წარმართავს საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობას, პერიოდულად ისმენს მათ ანგარიშებს;

რ) უზრუნველყოფს საინფორმაციო მასალის გამოქვეყნებასა და გავრცელებას;

ს) დადგენილებით იღებს უსკოს აპარატის თანამშრომელთა და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსების დებულებებს;

ტ) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით დადგენილი წესით განიხილავს არჩევნებთან დაკავშირებულ განცხადებებსა და საჩივრებს და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს სათანადო გადაწყვეტილებას;

უ) პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილი ნაწილის (გვარი, სახელი, დაბადების თარიღი, რეგისტრაციის ადგილი, იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ასევე ფაქტობრივი საცხოვრებლის მისამართი, ამომრჩეველის ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრაციის თარიღი) უსკოს ვებგვერდზე განთავსებაზე;

ფ) დადგენილებით განსაზღვრავს კენჭისყრის დამატებით წესს და პროცედურებს;

ქ) განკარგულებით ამტკიცებს სამტატო განრიგს და

ხარჯთაღრიცხვას უსკოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე;

ღ) განკარგულებით ადგენს საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების ანგარიშის ფორმას;

ყ) განკარგულებით ამტკიცებს უსკოს მომავალი წლის საბიუჯეტო განაცხადს;

შ) განკარგულებით ადგენს მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალურ ოდენობას ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატებისთვის;

ჩ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობითა და ამ რეგლამენტით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს.“

2. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. უსკოს თავმჯდომარე

უსკოს თავმჯდომარე:

ა) ასრულებს სრულ ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ ფუნქციებს უსკოში;

ბ) იწვევს და უძღვება უსკოს სხდომას;

გ) განკარგავს უსკოს ფინანსურ სახსრებს;

დ) რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, და მათ წარმომადგენლებს უსკოში, აძლევს მათ სათანადო მოწმობებს;

ე) სათანადო მოწმობას აძლევს არჩეულ უმაღლესი საბჭოს წევრს (წევრებს), უმაღლესი საბჭოს წევრის (წევრების) უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში კი – მათ უფლებამონაცვლეს (უფლებამონაცვლეებს);

ვ) ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს დროებით სამანდატო კომისიას, ხოლო სათანადო მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შემდეგ – ამ კომისიას გადასცემს უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულ პირთა უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაციას;

ზ) ხელს აწერს უსკოს დადგენილებებსა და განკარგულებებს ასევე უსკოს თავმჯდომარის განკარგულებებსა და ბრძანებებს;

თ) უსკოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული საკითხების გარდა, უსკოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, ადმინისტრაციული და საფინანსო ფუნქციების

შესრულებას განსაზღვრული ვადით ავალებს უსკოს შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელს;

ი) საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტის შესაბამისად, დავალებას აძლევს თავმჯდომარის მოადგილეს, კომისიის მდივანს, კომისიის სხვა წევრებსა და კომისიის აპარატის მოსამსახურეებს.

კ) ხელს აწერს უსკოს სხდომის ოქმებს და კომისიის სახელით გასულ დოკუმენტაციასა და კორესპონდენციას;

ლ) გამოსცემს განკარგულებებს;

მ) გამოსცემს ბრძანებებს შიდაუწყებრივ, მოხელეთა დანიშვნის, განთავისუფლების, შვებულების, აპარატის თანამშრომელთა წახალისების, საკადრო და სხვა საკითხებთან დაკავშირებით;

ნ) ნიშნავს და ათავისუფლებს უსკოს აპარატის თანამშრომლებს;

ო) წარმოადგენს უსკოს ხელისუფლების ორგანოებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას.

პ) უშუალოდ ან მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მეშვეობით წარმოადგენს უსკოს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მათ შორის პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებთან;

კ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობითა და ამ რეგლამენტით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს.“

3. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. უსკოს მდივანი

უსკოს მდივანი:

ა) ანაწილებს უსკოში შეტანილ საარჩევნო საბუთებსა და უსკოს სახელზე შესულ კორესპონდენციას;

ბ) რეგისტრაციაში ატარებს უმაღლესი საბჭოს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლებს საოლქო საარჩევნო კომისიებში და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს;

გ) რეგისტრაციაში ატარებს არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის/საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ უსკოში დანიშნულ დამკვირვებლებს, სხვა სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოთა მიერ წარგზავნილ დამკვირვებლებს და აძლევს მათ დამკვირვებლის მოწმობებს;

დ) განკარგულებით ახორციელებს მედიის წარმომადგენლების აკრედიტაციას და აძლევს მათ

საკრედიტაციო ბარათებს;

ე) უზრუნველყოფს კომისიის სხდომის მომზადებას;
ვ) ხელს აწერს კომისიის დადგენილებებსა და განკარგულებებს;

ზ) ადგენს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს;
თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობითა და ამ რეგლამენტით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს.“

4. მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. უსკოს აპარატის მოხელეთა თანამდებობებია:

- ა) სამსახურის უფროსი;
- ბ) თავმჯდომარის თანაშემწე;
- გ) ბუღალტერი;
- დ) რეფერენტი ;
- ე) სპეციალისტი;
- ვ) მძღოლი;
- ზ) დამლაგებელი.“

5. მე-13 მუხლის „დ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ). ახდენს უსკოს მიერ დადებული ხელშეკრულებების რეგისტრაციასა და შენახვას.“

6. მე-15 მუხლის „ბ“ და „ვ“ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ახორციელებს უსკოს წევრთა, აპარატის თანამშრომელთა და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა საკადრო აღრიცხვას, პირადი საქმეებისა წარმოებასა და შენახვას.

ვ) უზრუნველყოფს აპარატის თანამშრომელთა და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებას და ამ საკითხებზე უსკოს შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტის მომზადებას. ამზადებს უსკოს განკარგულების პროექტებს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევისა და უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.“

7. მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის გ¹ და გ² პუნქტები:

„გ¹. აფორმებს შტატგარეშე და დამხმარე მოსამსახურეთა შრომით ხელშეკრულებებს.

გ². ამზადებს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სახელფასო ცნობებს.“

8. მე-16 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. უსკოს სხდომის ოქმი ფორმდება სხდომიდან 1 დღის ვადაში.“

9. მე-17 მუხლს პირველი პუნქტის შემდეგ დამატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. უსკოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა (თუ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით უფრო მაღალი კვორუმი არ არის დადგენილი), მაგრამ არანაკლებ უსკოს სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. უსკო გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეეხება ქვემდგომი საარჩევნო კომისიების მიერ იღებული გადაწყვეტილებების, მათ შორის, საარჩევნო ოლქის/უბნის შედეგების გაუქმებას, საუბნო საარჩევნო კომისიიდან შემოსული პაკეტების გახსნასა და საარჩევნო ბიულეტენების გადათვლას, იღებს სხდომაზე დამსწრეთა არანაკლებ ორი მესამედი.“

10. მე-17 მუხლს მე-5 პუნქტის შემდეგ დამატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. სხდომაზე საკადრო საკითხები წყდება უსკოს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.“

მუხლი 2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილება

უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის და საკონკურსო-სატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის

აპარატში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი რის შემდეგაც სიტყვა გადასცა უსკოს აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსს ფრიდონ ბათნიძეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის კომისიის წევრთათვის გასაცნობად.

უსკოს აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსმა ფრიდონ ბათნიძემ აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების, ასევე „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის N46 ბრძანებულების და „საჯარო მოხელეთა ატესტაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის N47 ბრძანებულების თანახმად, აუცილებელია მიღებული იქნას უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულება სადაც გაწერილია საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიზანი და ფუნქციები, კონკურსის/ატესტაციის ჩატარების ამოცანები, კონკურსის/ატესტაციის ჩატარების პროცედურა და ა.შ.

აზრი გამოთქვს:

კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი

კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის N46 ბრძანებულებისა და „საჯარო მოხელეთა ატესტაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის N47 ბრძანებულების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს „უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესი და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულება“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 30 მარტის N2/2006 დადგენილება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“, (გაზეთი „აჭარა“ №59. 2006 წელი).

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის : ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
(დანართი თან ერთვის)

3. განკარგულება

უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2014 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის შესაბამისად,

უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვას უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს უსკო. სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონით უსკო-ზე დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებების შესაბამისად, უსკო-ს მიერ დამტკიცებული უნდა იქნას 2014 წლის მიმდინარე ხარჯები (ხარჯთაღრიცხვა) რის შემდეგაც სიტყვა გადასცა უსკოს ეკონომიკური სამსახურის უფროს ლევან სამნიძეს კომისიისათვის დეტალურად გაეცნო უსკოს 2014 წლის ხარჯთაღრიცხვა.

ეკონომიკური სამსახურის უფროსმა ლევან სამნიძემ კომისიას დეტალურად გააცნო ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2014 წლის ხარჯთაღრიცხვის პროექტში.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2014 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2014 წლის ხარჯთაღრიცხვა დანართის შესაბამისად.
2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის

ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ძალაში შესვლის დღიდან.

4. განკარგულება

საოლქო საარჩევნო კომისიების 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ვადაგასული საარჩევნო დოკუმენტაციის განადგურების აქტის ცნობად მიღების შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა საოლქო საარჩევნო კომისიების 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ვადაგასული საარჩევნო დოკუმენტაციის განადგურების აქტის(ების) ცნობად მიღების შესახებ განკარგულების პროექტი, რის შემდეგაც სიტყვა გადასცა უსკოს აპარატის საერთო სამსახურის უფროსს სულხან ჩოგაძეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის კომისიის წევრთათვის გასაცნობად.

უსკოს აპარატის საერთო სამსახურის უფროსმა სულხან ჩოგაძემ აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულმა საოლქო საარჩევნო კომისიებმა უსკოს წარმოუდგინეს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ვადაგასული დოკუმენტაციის განადგურების აქტები. ასევე აღნიშნა, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის უსკოს არ შეუქმნია საარჩევნო ოლქები „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ ერთდროულად ტარდება „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ განსაზღვრული საერთო და უმაღლესი საბჭოს არჩევნები, საარჩევნო ოლქები, მათი საზღვრები, სახელწოდებები და ნომრები შეესაბამება „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ განსაზღვრულ საერთო არჩევნებისათვის ცესკოს მიერ შექმნილ ოლქებს. შესაბამისად, საერთო არჩევნებისათვის ცესკოს მიერ შექმნილ საარჩევნო ოლქებს დაეკისრა როგორც საქართველოს პარლამენტის ასევე უმაღლესი საბჭოს 2012

წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ჩატარება და აღნიშნულმა ოლქებმა ცესკოს მიერ დამტკიცებული საოლქო საარჩევნო კომისიების საქმეთა ნომენკლატურის თანახმად, მოახდინეს ვადაგასული საარჩევნო დოკუმენტაციის განადგურება და განადგურების აქტის თითო ეგზემპლარი წარმოუდგინეს უსკოს. აღნიშნული საკითხი ასევე განხილული იქნა უსკოს მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის მიერ (საექსპერტო კომისიის სხდომის ოქმი №1 06.12.2013) სადაც საექსპერტო კომისიამ იმსჯელა და დაადგინა, რომ ვინაიდან უსკოს 2012 წლის 1 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისას არ შეუქმნია საარჩევნო ოლქი და საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, საერთო არჩევნებისათვის ცესკოს მიერ შექმნილ საარჩევნო ოლქებს დაეკისრა უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარება და ცესკოს მიერ დამტკიცებული საქმეთა ნომენკლატურით მოახდინეს ვადაგასული საარჩევნო დოკუმენტაციის განადგურება საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილებით ეთხოვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიას ცნობად მიიღოს ბათუმის №79, ქედის №80, ქობულეთის №81, შუახევის №82, ხელვაჩაურის №83 და ხულოს №84 საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ვადაგასული დოკუმენტაციის განადგურების აქტები.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საოლქო საარჩევნო კომისიების 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ვადაგასული საარჩევნო დოკუმენტაციის განადგურების აქტის(ების) ცნობად მიღების შესახებ განკარგულების პროექტი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. ცნობად იქნეს მიღებული ბათუმის №79, ქედის №80, ქობულეთის №81, შუახევის №82, ხელვაჩაურის №83 და ხულოს №84 საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ვადაგასული დოკუმენტაციის განადგურების შესახებ მიღებული აქტი (გადაწყვეტილება).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

არჩილ მიქელაძე

კომისიის მდივანი

ქეთევან ჯიქია